პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნიზმის სხივი

1990 22 თებერვალი ხუთშაბათი

№23 (6250) ფასი 3 კაპ.

გაზეთი დაარსდა 1933 წლის 10 მაისს

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

КОМУНИЗМИС СХИВИ орган Цагерского райко ма КП Грузии и райсовета народных депутатов

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცაგერის №201 საოლქო-საარჩევნო კომისიაში

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს [illegible] ცაგერის №201 საარჩევნო ოლქის საოლქო-საარჩევნო კომისიამ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ცაგერის №201 საოლქო-საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარა:

**ნემსწვერიძე ონერ შალვას ძე**—დაბადებული 1948 წელს, უმაღლესი განათლებით, სკკპ წევრი, ცაგერის აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე (საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს პლენუმისაგან).

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

# ვენედი გიორგის ძე ბენიძე

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი **ვენედი გიორგის ძე ბენიძე** რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქის საოლქო-საარჩევნო კომისიამ.

ვენედი გიორგის ძე ბენიძე დაიბადა 1950 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ხუბში. 1966 წელს დაამთავრა ცაგერის საშუალო სკოლა, 1971 წელს—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1971-1972 წლებში მუშაობდა ლანჩხუთის რაიონის პროკურატურაში სტაჟიორ-გამომძიებლად, 1972-1975 წლებში—ცაგერის რაიონის პროკურატურაში ჯერ სტაჟიორ-გამომძიებლად, შემდეგ—გამომძიებლად.

1975-1976 წლებში ვ. ბ.



ბენიძე მუშაობს საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად.

1976 წელს ვ. ბენიძე დაინიშნა მაიაკოვსკის რაიონის პროკურორად, სადაც იმუშავა 1986 წლამდე.

1986 წლის სექტემბერში ვ. ბენიძე გადაყვანილ იქნა საქართველოს სსრ პროკურატურის ცენტრალურ აპარატში, სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორად, შემდეგ—განყოფილების გამგის მოადგილედ, ხოლო 1989 წლიდან დღემდე მუშაობს რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო ნაწილის უფროსის მოადგილედ. არის იუსტიციის მრჩეველი. სკკპ წევრია 1974 წლიდან.

ჰყავს მეუღლე (ბიოქიმიკოსი) და ორი შვილი.

ვ. გ. ბენიძე დაჯილდოებულია სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და სახდაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით.

ცხოვრობს ქალაქ თბილისში. დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ზუბის საშუალო სკოლის შრომითმა კოლექტივმა.

## დეპუტატობის კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამის თეზისები:

საჭიროდ მიაჩნია აქტიური საპარლამენტო მოღვაწეობა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. დასახული მიზნის პარლამენტური გზით მიღწევა, მშვიდობიანი ბრძოლის ყველა სხვა ფორმის გამოყენება.

ეროვნული არმიის აღდგენა. ამ ეტაპზე, რაც შეიძლება მოკლე ვადაში სავალდებულო სამხედრო სამსახურის მხოლოდდამხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მოხდის საკითხის გადაწყვეტა.

მრავალპარტიული პარლამენტის შექმნის აუცილებლობა.

ეთნოკონფლიქტების მოწესრიგება.

აგრარული რეფორმის განხორციელებისას მიწის პირად საკუთრებაში გადაცემის აუცილებლობა.

არარენტაბელური კოლმეურნეობების ნაცვლად საიჯარო ინდივიდუალური მეურნეობების შექმნა, მათი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფა.

რაიონის ეკოლოგიური გაჯანსაღებისათვის ბრძოლა. ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავება და რეალურად განხორციელება. მეწყერიანობის ზონაში მცხოვრები მოსახლეობისათვის ახალი სამოსახლო მიწის ნაკვეთების გამოყოფა. აუცილებლობის შემთხვევაში მათი ჩასახლება რესპუბლიკის სხვა რაიონების ტერიტორიაზე. ასეთი ოჯახებისათვის ეკონომიური დახმარების აღმოჩენის აუცილებლობა.

კანონიერების განუხრელი განმტკიცება, სოციალური სამართლიანობის დაცვა, მმართველობით აპარატსა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის აღმოფხვრა.

სხვადასხვა სოციალური საკითხების გადაწყვეტა.

ისტორიული ძეგლების მაქსიმალურად აღდგენა და დაცვა.

## წლის მოსავალს — მტკიცე საფუძველი

# ეშურებიან ამინდებს

მიმდინარე წელს დიდი და საპატიო ამოცანების წინაშე დგანან ტვიშის კოლმეურნეობის მევენახეები. სახელმწიფოს საზოგადოებრივი მეურნეობიდან 47 ტონა ყურძენი უნდა ჩაბარდეს. ბოლოსდაბოლოს უნდა დაიბრუნოს საქვეყნოდ გამოთქმულმა ტვიშურმა ცოლიკაურმა ძველი დიდება, მით უფრო ახლა, როცა დადგა დრო ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას, ყველაფერმა, რაც ჩვენია და ეროვნული, თავისი ძალა აჩვენოს.

იჯარამ, საიჯარო ხელშეკრულებამ უფრო დაუახლოვა ადამიანები მიწას, რაც ნათლად გამოიკვეთა ციფრობრივ მაჩვენებლებში, უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობაში ყურძნის მოსავლიანობა, როგორც საკარმიდამო, ასევე საზოგადოებრივი მეურნეობებიდან თუმც უმნიშვნელო, მაგრამ მაინც ზრდადობით ხასიათდება, გადაშენების საფრთხე არ დაემუქრება ჩვენებურ ვაზს, რაც ჩვენს იმედსა და სინდისნამუსს წარმოადგენს, სწორედ ამან მისცა სტიმული აქაურ მშრომელებს და ზამთრის დღეებშივე იჭერენ თადარიგს.

კოლმეურნეობის ორხვის, ტვიშისა და ქორენიშის აგროუბნებში აქტიურად მიმდინარეობს ჭიგოს დამზადება, ორგანული სასუქის გატანა, იჯარით აღებული ზვრებისთვის საჭირო რაოდენობის ჭიგო უკვე დამზადებული აქვთ მოწინავე მოიჯარეებს —ვალოდია ახვლედიანს, ჯუმბერ ქვარიანს, დიდიმ, ნოდარ ბანძელაძეებს, ოთარ, კოლია სვანიძეებს, ბადრი, ანზორ ნემსწვერიძეებს, თენგიზ ასათიანს და სხვებს.

ჯერჯერობით ერთ ჰექტრამდე ზვარშია ორგანული სასუქი შეტანილი.

ადრიანად ვიზრუნეთ ტექნიკის მზადყოფნისათვის, უკვე სამი სახნავი ტრაქტორია საგაზაფხულო სტარტზე, გამოცდილმა მექანიზატორებმა გებენ ჩაკვეტაძემ, ჯემალ გაბიძაშვილმა თავისივე ძალებით გაარემონტეს ტრაქტორები.

ასე რომ კოლმეურნეობაში აქტიური ზრუნვა იგრძნობა კარსმომდგარი გაზაფხულის შესახვედრად და მიმდინარე წლის მოსავლის საფუძვლის მოსამზადებლად.

**შ. გოდოლაძე,**
ტვიშის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.

# იჯარა ხელსაყრელია

ახლა, როცა მთელი კატეგორიულობით დგას საკითხი იმის შესახებ, შევინარჩუნოთ თუ არა კოლმეურნეობები, როგორც აწ უკვე ასაკში შესულს, საკმაო გამოცდილების მქონე მეურნეს, ამ საკითხზე ჩემი აზრი გამიჩნდა. იმ დასკვნამდე ვარ მისული, რომ იჯარა, სხვადასხვა სახის ორგანიზებულ ჯგუფებად გაერთიანება, კოოპერატივების ჩამოყალიბება და ასე შრომა, ჩვენთან, მთაში ხელსაყრელია და მე თვითონ მხარს ვუჭერ. ასე, მაგალითად, საიჯარო სისტემა თითქმის ყველა სახეში, როგორც მემინდვრეობაში, ისე მევენახეობაში და მეცხოველეობაში პროდუქტების დაგროვების ხელსაყრელი გზაა.

ამას წინათ რაიონულ გაზეთში წავიკითხე ორბელის კოლმეურნობის მთავარი აგრონომის გურამ გზობავას წერილი. ავტორი ამბობს, რომ კოლმეურნეობაში 200 მოიჯარეზეა გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულება და აქედან 170 მოიჯარემ დაარღვია ხელშეკრულება და მიითვისა როგორც ყურძნის, ასევე სიმინდის მოსავალი. სად იყო მაშინ ან პარტიული და ან კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა, განა ამისათვის არ ვარგა იჯარა?

პირადად მე საიჯარო წესით მოსავლელად აღებული მქონდა 0,3 ჰექტარი სასიმინდე, საიდანაც მოვიწიე 1,5 ტონა სიმინდი და 100 კილოგრამი ლობიო, 300 კონა ჩალა, დავამზადე ასევე 4 ტონა თივა, საბაზრო ფასით რომ ვიანგარიშოთ, ფულად გამოსახულებაში ეს ყველაფერი 2200 მანეთს შეადგენს. მყავს კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმიდან გაყვანილი მეწველი ფური, კოლმეურნეობას 25 კილოგრამი ყველი ჩავაბარე და შრომის საზღაურად 98 მანეთი მივიღე, გარდა ამისა ნამეტი 100 კილოგრამი ყველი ბაზარზე გავყიდე და 600 მანეთი ოჯახურ ბიუჯეტს მივუმატე.

ასე, რომ საიჯარო შრომით გასულ წელს სულ 2978 მანეთი მივიღე, ყველა ამ სამუშაოს შესრულებაში წლის მანძილზე დიდი-დიდი ორი თვე დამეხარჯა. ასე, რომ შრომა და მხოლოდ შრომაა ყველაფრის სათავე, უშრომელად არაფერი იქმნება და აჩქარება და ახლადდანერგილი იჯარის ზურგის შექცევა ბევრს არაფერს მოგვიტანს.

**სემინარ ყურაშვილი,**
ომისა და შრომის ვეტერანი, სოფ. ნაკურალეში.

## არის კვარტალის გეგმა

**ხუთწლედის** დამამთავრებელ წელს ნაყოფიერად შრომობენ რაიონის მეცხოველეები, რომელთა მიზანი ერთია, რაც შეიძლება მეტი მეცხოველეობის პროდუქტები აწარმოონ და მიყიდონ სახელმწიფოს, რომ წლის საგეგმო დავალების ვადამდე და წარმატებით შესრულებას ამთავითვე საიმედო გარანტია შექმნას.

ამ მხრივ კარგი საფუძველი მოამზადეს წიფერჩის კოლმეურნეობის მეცხოველეებმა, რომლებმაც პირველ კვარტალში სახელმწიფოს 4 ტონა ხორცი უნდა დაუმზადონ. კოლმეურნეობაში ვადამდე, თებერვლის პირველ ნახევარში განაღდეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა და დამამზადებელ ორგანიზაციას 4, 27 ტონა ხორცი ჩააბარეს.

## საანგარიშო კრებები კოლმეურნეობებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში

# ახლებურად სურთ ცხოვრება

დღეს დიდი სჯა-ბაასი მიმდინარეობს მიწის საკუთრების შესახებ. ზოგი ამტკიცებს, რომ მიწის იჯარამ შეუძლებელი შეაძლებინა გლეხს, რომ ამ გზით მეურნეობებში იზრდება პროდუქციის წარმოება, მცირდება თვითღირებულება. მეორენი გაიძახიან, რომ უმჯობესია გავაუქმოთ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები და გადავიდეთ გლეხურ მეურნეობაზეო. თვითონ გლეხებმა, ხალხმა ჯერ-ჯერობით არ იციან როგორ მოიქცენ, ვის გაყვნენ.

კოლმეურნეობებში მიმდინარე საანგარიშო კრებებისაგან მოელიან კოლმეურნეები პასუხს კითხვაზე—დარჩეს კოლმეურნეობები, თუ დამკვიდრდეს გლეხური მეურნეობა, კერძო საკუთრება. შეიძლება ითქვას, რომ ამან განაპირობა ცაგერის კოლმეურნეობის რწმუნებულთა საანგარიშო კრების უჩვეულობა. კრებაზე, რომელიც 15 თებერვალს ჩატარდა მოვიდნენ არა მარტო რწმუნებულები, არამედ სხვებიც. სასოფლო კლუბი ვერ იტევდა მშრომელებს. კრების დაწყებამდე ჯგუფ-ჯგუფად მიმდინარეობდა ცხარე კამათი შრომის რა ფორმა აირჩიათ.

საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზ. ჩიქოვანი, კამათში წინასწარი ჩაწერა-მომზადების გარეშე მონაწილეობა მიიღეს კოლმეურნეებმა: გ. კოპალიანმა, ს. კოპალიანმა, ვ. გოგიძემ, მ. ბენდელიანმა, ა. კოპალიანმა, ვ. დავითულიანმა, ი. ბენდელიანმა, შ. ლეთოდიანმა, ი. მდივანმა, ლეჩხუმის სახალხო ფრონტის წარმომადგენლებმა გ. ჯიაძემ, მ. სტურუამ და სხვებმა.

საანგარიშო მოხსენებასა და მოკამათეთა გამოსვლებში ილაპარაკეს 1989 წელს გაწეული მუშაობის ავ-კარგზე, მიღწევებზე, ნაკლოვანებებზე, მათი დაძლევის გზებზე, იჯარული ფორმის დანერგვაზე, გლეხურ მეურნეობაზე გადასვლისათვის მზადების საკითხებზე. წარმოითქვა ბევრი საყურადღებო წინადადება მუშაობის ახლებურად წარმართვის, სოფლის ახლებურად მოწყობის, მიწის ყაირათიანად გამოყენებისა და სხვა საკითხებზე.

თავიდანვე უჩვეულოდ დაიწყო საანგარიშო კრება, ზარაგულა-ლუხვანოს წარმომადგენლებმა მოითხოვეს კრების დღის წესრიგში ცაგერის კოლმეურნეობისაგან გამოყოფის საკითხის შეტანა და მათთვის გლეხური მეურნეობის დამკვიდრება, რაც იმით ახსნეს, რომ ცაგერის კოლმეურნეობის ბარის სოფლებთან (ქვედა ცაგერი, ჭალისთავი, გვესო) მაღალმთიანი, მწირი ნიადაგის მქონე ლუხვანოს კოლმეურნეობის შეერთება თავიდანვე შეცდომა იყო, ზარაგულის, ზედა და ქვედა ლუხვანოს სოფლებში ვერც იჯარა ამართლებს, სხვა განმასხვავებელი პირობებიც წამოაყენეს.

კრებაზე აღინიშნა, რომ ცაგერის კოლმეურნეობა ადრეულ პერიოდში რაიონის კოლმეურნეობებს შორის მოწინავე, ძლიერი მეურნეობა იყო. ბოლო პერიოდში გატარებულმა არასწორმა ღონისძიებებმა: მეურნეობათა დამსხვილებებმა, ანაზღაურების სხვადასხვა ფორმების შემოღებამ, ექსპერიმენტებმა არამც თუ წინ წასწია მეურნეობა, არამედ თანდათან დაქვეითება იწყო, ამას დაემატა სტიქიური მოვლენები, მეწყერიანობა, რის შედეგად მწყობრიდან გამოვიდა საუკეთესო ბაღ-ვენახები, სახნავი მიწები.

ითქვა, რომ გასული სამეურნეო წლის მაჩვენებლები არ არის სახარბიელო. მაგრამ აღინიშნა, რომ მეურნეობრიობის ახალ ფორმაზე, ოჯახურ იჯარაზე გადასვლამ კარგი შედეგი გამოიღო. კოლმეურნეობამ გასული სამეურნეო წელი დიფერენცირებული ფასის ჩათვლით 25 ათასი მანეთის მოგებით დაამთავრა. რენტაბელობის დონემ შეადგინა 14 პროცენტი. ერთი კაცდღის ღირებულებამ—5 მანეთი და 70 კაპიკი.

კოლმეურნეობამ გასულ წელს ნაცვლად 26,7 ცენტნერისა დაამზადა და სახელმწიფოს მიყიდა 33,3 ცენტნერი აბრეშუმის პარკი, გეგმა 124 პროცენტით შეასრულეს, 121 პროცენტით შეასრულეს მარცვლეულის წარმოების და 100 პროცენტით—თივის დამზადების გეგმები. 105 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის დავალება, ნაცვლად 1020 ცენტნერისა მიყიდეს 1070 ცენტნერი.

ცაგერის კოლმეურნეობა აერთიანებს 617 კოლმეურნე ოჯახს. ფუნქციონირებს 7 საწარმოო ბრიგადა და ერთი მეცხოველეობის ფერმა. 105 ჰექტარი სასიმინდე ფართობი ხელშეკრულებით მიმაგრებულია 550 მოიჯარე ოჯახზე, 38 ჰექტარი ვენახი—268 მოიჯარე კომლზე.

დაასახელეს მოწინავე მესიმინდეები, მევენახეები, მეცხოველეები და მეაბრეშუმეები. მათ გვერდით დაასახელეს ის მოიჯარეებიც, რომლებმაც კოლმეურნეობაში არ მიიტანეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სიმინდი, მიიღეს ყურძნის სამარცხვინო მოსავალი, ისიც ითქვა, რომ მათ მიმართ ჯერ-ჯერობით რაიმე ზომები არ გატარებულა გამგეობის მიერ, რაც შემდეგ წლებში უარყოფითად იმოქმედებს კეთილსინდისიერ მოიჯარეებზე.

გულისტკივილით ითქვა, რომ ბრიგადირებმა, კოლმეურნეობის აგროსამსახურმა თითქმის უყურადღებოდ მიატოვეს კოლმეურნეობის ძირითადი დარგი მევენახეობა, არ იზრუნეს ვენახების შემოკავება-დაცვაზე, ადრე გაზაფხულზე პირუტყვმა გაანადგურა ვენახების დიდი ნაწილი, ზოგიერთმა მოიჯარემ არ მოუარა მიმაგრებულ ვენახს. ამას დაერთო ცუდი ამინდები, ზოგიერთ ზვრებში სეტყვა და ყურძნის სამარცხვინო მოსავალი მიიღეს, ნაცვლად დაგეგმილი 202 ტონისა მიიღეს 59 ტონა. თითოეული ჰექტარიდან ნაცვლად დაგეგმილი 57 ცენტნერისა მიიღეს 19,8 ცენტნერი ყურძენი. კრების მონაწილეებმა კოლმეურნეობის გამგეობის, აგროსპეციალისტების, მოიჯარეების ყურადღება გაამახვილეს ვენახების მოვლა-პატრონობის არსებითად გარდაქმნის აუცილებლობაზე.

კოლმეურნეობას მეცხოველეობის განვითარების კარგი ტრადიცია და პირობებიც აქვს, მაგრამ ამ დარგისადმი საჭირო ხელმძღვანელობის შესუსტებამ, ზოოვეტერინარულ ღონისძიებათა არასრულყოფილად გატარებამ უარყოფითად იმოქმედა მეცხოველეობის განვითარებაზე. არ შესრულდა სულადობის გეგმა, ყავთ 490 სული პირუტყვი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 660 სულისა, არ შესრულდა ერთ ფურზე წველადობის, სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის და ხორცის წარმოების გეგმები.

კრებაზე ხაზგასმით ითქვა, რომ საჭიროა გა[illegible] შრომის დისციპლინა, [illegible] რას, გაუ[illegible] ზღაურება.

კრების მონაწილეებმა პირდაპირ უთხრეს კოლმეურნეობის და სასოფლო საბჭოების ხელმძღვანელებს, რომ საჭიროა მეტი ყურადღება მიაქციონ სოციალური საკითხების მოგვარებას. ზარაგულის მცხოვრებლებს უჭირთ უგზოობის გამო. ზარაგულაში, ქვედა და ზედა ლუხვანოში ავარიულ მდგომარეობაშია ელექტროგადამცემი ხაზები, ნახევარჯერ არ არის სინათლე, არ მუშაობს ტელევიზორი. 1989 წლიდან ზარაგულასა და ზედა ლუხვანოში არ მუშაობს ტელეფონები. ტელეფონების აღდგენისათვის არავის უზრუნია ჭალისთავში, ამ სოფლში ჭიანურდება სასოფლო კლუბის მშენებლობა, არ დაწყებულა საბავშვო ბაღის მშენებლობა. ტელეფონი და რადიო ხშირად არ მუშაობს ქვედა ცაგერში, შეკეთებას საჭიროებს ამ სოფლის წყალსადენის მაგისტრალი. გაჭიანურდა ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის მშენებლობა.

კრების მონაწილეებმა საჭიროდ ჩათვალეს გლეხურ მეურნეობაზე გადასვლისათვის ავტორიტეტული კომისიის შექმნა, რომელიც საფუძვლიანად დაამუშავებს მეურნეობრიობის ამ ახალ ფორმაზე გადასვლის საკითხებს.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველმა მდივანმა ე. კ. ბუზავამ.

ვლ. დავითულიანი.

## ვეტერანი მოითხოვს, განვუმარტავთ

რედაქციაში შემოვიდა დიდი სამამულო ომის ინვალიდის, წილამიერელი იოსებ ალექსის ძე ლარცულიანის განცხადება. იგი გვწერს, რომ რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ წელიწადნახევრის წინ მისცა ავტომანქანა „ჟიგული“. მანქანა ორი წლის მინდობილობით გაფორმებული ჰყავს ოჯახის წევრზე, შვილიშვილზე, რომელიც დროებით ქუთაისში მუშაობს. სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება კი უარს აცხადებს ავტომანქანისათვის ბენზინის, მარაგნაწილებისა და რემონტის საკომპენსაციო თანხის მიცემაზე იმ მოტივით, რომ მანქანა ადგილზე არ არის.

განცხადებას უპასუხებს სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე **ნოდარ ცვარიანი:**

„იმის გამო, რომ ი. ლარცულიანის ავტომანქანას მინდობილობით მართავს მისი შვილიშვილი, რომელიც ჩაწერილია, ცხოვრობს და მუშაობს ქუთაისში და, ბუნებრივია, მანქანაც ქუთაისშია, მოქმედი კანონმდებლობით საკომპენსაციო თანხა არ ეკუთვნის.

ამ საკითხთან დაკავშირებით განყოფილებაში იყვნენ თვით ლარცულიანი და მისი შვილიშვილიც და მათ მიეცათ კიდეც ანალოგიური განმარტება“.

## თეორიულ-პრაქტიკული კონფერენციის შესახვედრად

ქვეყნის ეკონომიკის ბალავარი მიწაა, გლეხი კი მისი მესათუთე და შემნახავი. გლეხი, ერის კერიის მზრუნველი კი ხელიდან გვეცლება, ხშირად ჩვენი ხელშეწყობითაც. გავიხსენოთ რამდენს მივეცით სამოსახლო ცაგერში დასასახლებლად, მეწყერიანობა ეს სამი წელია, მანამდე? აბა, დათვალეთ რამდენი დასახლდა ქალაქში მაშინ, როცა ქალაქში (ცაგერში) დაბადებულ-გამრავლებულთათვის აღარც მიწაა და არც ბინა. რატომ ვივიწყებთ, რომ ცაგერი ჩვენთვის დედაქალაქია. ამას წინათ ერთმა ხელმძღვანელმა მუშაკმა საუბარში შემომჩივლა—ჩემი ორი ვაჟიშვილიდან წლების მანძილზე ვერცერთი ვერ მოხვდა ბინის მიღების აღრიცხვაზეო, რამაც ხელი შეუწყო მათ რაიონიდან წასულიყვნენო. ამით საუკეთესო სპეციალისტები დავუკარგეთ ლეჩხუმელებს. ყველა პირობა უნდა შეიქმნას სოფლად სოციალურიც, ეკონომიკურიც, რომ დამაგრდნენ მშრომელები და ალველი თუ ნასპერელი ქალი ჩვენს ქალაქში დამლაგებლად არ მუშაობდეს, სოფლელი ყმაწვილები კი ქუჩაში ასფალტზე უსაქმურად არ იდგნენ.

ამას წინათ ავტობუსის მოლოდინში ჯგუფად შეგროვილი ახალგაზრდების კამათს ვუსმენდი. ერთი ხმამაღლა იძახდა—გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოსო,—ერთხმად ყველა აყვირდა, მეორემ თქვა, ბიჭებო, წავიდეთ ჩვენს სოფელში დავსახლდეთ, მეცხოველეობას მივყოთ ხელი, ჩვენც გავმდიდრდებით და რაიონის ეკონომიკასაც გავაძლიერებთო,—გაჩუმდნენ, ბევრი შვილები ვიყოლიოთ და დავზარდოთო,—კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. ასეა, სიტყვა ადვილი სათქმელია, საქმის კეთება კი ძნელი, ასფალტზე მიწის სიყვარულს ვერავინ ისწავლის.

ეკოლოგია პოლიტიკური საკითხია და დღეისათვის გლობალურ საკითხადაა ქცეული. რადგან ბუნებაზე ზრუნვა ჩვენს ჯანმრთელობაზე ზრუნვაა, თითოეულის დაინტერესებას უნდა იწვევდეს ქალაქის ქუჩების გამწვანების საკითხიც.

### ტკივილს სალბუნი სჭირდება

ქალაქის გაზონებში, როგორც დეკორატიულ მცენარეს, დიდი ადგილი უჭირავს ქედარს, რომელსაც არავითარი სარგებლობა არ მოაქვს და სილამაზეც დაკარგული აქვს, მედიცინაში ცნობილია, რომ მისი ფოთლები და ყვავილი არამარტო აბინძურებს გარემოს, არამედ ალერგიასაც იწვევს, რესპუბლიკურ პრესაში ამას წინათ წავიკითხე —ქედრის ფოთლებში ამერიკულ პეპელას დაუბუდებია, ეს მავნებელი მწერი მოსახლეობის ხილის ბაღებშიც გადადის, ხოლო მის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება ნაკლებად არსებობსო.

კარგი იქნება თუ ქედარი შეიცვლება ნაძვებით, ხუნდაც ხეხილის ნარგავებით. შემდგომში, ქუჩები ლორებით გაივსებაო, მაინც ასე არ არის?

მერე და ვისი უგულისყურობით თუ უსირცხვილობით? ჩვენი, თქვენი, ყველას მიზეზით.

ბევრი ლაპარაკია დღეს ლეჩხუმის დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღებისათვის, რადგან სიკვდილიანობა უსწრებს შობადობას, მაგრამ მარტო მოწოდებებით ერს ვერ გავამრავლებთ. ოჯახის შექმნა-გამრავლებას პირობები უნდა. დაიბადება და გაიზრდებაო, ეს იყო წარსულში, ათეული წლების მიღმა. ახლა, ცივილიზებულ სამყაროში მარტო დაბადება არ კმარა, დაბადებულს აღზრდა უნდა, აღზრდას კი პირობები. დღევანდელი ხელფასით და მისი მსყიდველობითი უნარით მრავალი შვილის გაზრდა ძნელია. რაიონში არ ჩანს დემოგრაფიული საზოგადოება, მისი ქველმოქმედება, სუსტია ქალთა საბჭოების როლი ამ საქმეში. შესწავლილ უნდა იქნას რაიონში ახალგაზრდა ოჯახების მდგომარეობა. მოეწყოს შეხვედრები არამარტო მრავალშვილიან დედებთან, არამედ მრავალშვილიან ოჯახებთან. გვავიწყდება, რომ მრავალშვილიან ოჯახს მზრუნველად ყოველთვის მამა ჰყავს. განა შეიძლება, მარტო დედამ ჩაიფიქროს, იყოლიოს და გაზარდოს 8-10 და მეტი შვილი?

მომავალ თეორიულ-პრაქტიკულ კონფერენციას, რომელიც ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და დემოგრაფიულ საკითხებს ეძღვნება, დიდი მნიშვნელობა ექნება პრობლემების გადაჭრის გზაზე, იგი, ვფიქრობთ, ყველა საფიქრალ-სატკივარს წარმოაჩენს, შეისწავლის და უმკურნალებს.

ბ. ბაქრაძე.

# ფრთხილად, ჩვენს წინ მოზარდია!

„ფრთხილად, ჩვენს წინ მოზარდია", შემთხვევით არ ამილია ეს წერილის სათაურად. ავიღე იმიტომ, რომ მოზარდის ჯანსაღი სულისკვეთებით აღზრდა მეტნაკლები პასუხისმგებლობით ევალება ყველას, მშობელს, ოჯახს, სკოლას, საზოგადოებრიობას, მაგრამ უმთავრესად სკოლას. სკოლამ უნდა აღზარდოს სამართლიანი, კაცთმოყვარე, ზნეობრივად მტკიცე მოქალაქე. აი, როგორ გვმოძღვრავს ამის შესახებ დიდი ილია: „თუ სამართლიანი ხარ და კაცთმოყვარე, მაშინ ყველაფერი ხარ, სავსე კაცი ხარ".

არ არის სავალდებულო და არც არავინ მოითხოვს, რომ ყველა ბავშვი იყოს ფრიადოსანი, მაგრამ ის კი არის სავალდებულო, რომ ყველა ბავშვი იყოს ზრდილობიანი, თავაზიანი, საკუთარი თავისა და ყველა მოყვასის მოსიყვარულე; უყვარდეს შრომა და იყოს პატიოსანი, მუდამ ფიქრობდეს ხვალინდელი დღის უკეთესობაზე. სასიამოვნოა, რომ სკოლა და ოჯახი, რომლებსაც გარკვეულ წილად ეხმარება საზოგადოებრიობა, ძირითადად აღწევენ მიზანს და მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა თავისი სწავლით და ქცევით აკმაყოფილებს საწესდებო მოთხოვნებს. მაგრამ გულახდილად თუ ვიტყვით, ყველასთან ვერ ვაღწევთ სასურველ შედეგებს.

ზოგჯერ ხდება, რომ ოჯახში აღზრდაში დაუშვებენ შეცდომებს, გამორიცხული არ არის ასეთი შეცდომების დაშვება სკოლაშიც და შედეგიც არ აყოვნებს. ჩნდებიან ეგრეთწოდებული ძნელად აღსაზრდელები, რომლებიც მცირეოდენი ყურადღებობის შემთხვევაში უარს არ იტყვიან დანაშაულის ჩადენაზე. ასე რომ არ მოხდეს, ამისათვის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისია ანხორციელებს ღონისძიებებს მოზარდთა შორის მოსალოდნელი დანაშაულისა და მათი უზედამხედველობის თავიდან ასაცილებლად.

რაისაბჭოს აღმასკომთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას გასულ წელს ჩატარებული აქვს სხდომა 12-ჯერ. კომისიამ განიხილა არასრულწლოვან ბ. ო. ყურაშვილის საკითხი, რომელმაც ცაგერის საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეს მიაყენა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით. განხილულ იქნა საკითხი ძნელადაღსაზრდელების გ. ჭოხონელიძისა და ა. ახვლედიანის მიერ ჩადენილი წვრილმანი ქურდობის შესახებ, კომისიის გადაწყვეტილებით მათ დაენიშნათ საზოგადოებრივი აღმზრდელები.

არასრულწლოვანთა კომისია თავის სხდომებზე პერიოდულად იხილავს სასოფლო საბჭოების არასრულწლოვანთა კომისიების მიერ გაწეულ მუშაობას, უნდა აღინიშნოს, რომ მათი მუშაობა უმრავლეს შემთხვევაში არადამაკმაყოფილებელია.

ზემოთაღნიშნულთან ერთად სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი კომისიის საქმიანობას გარკვეული ხარვეზები ახლავს. კომისიას არა აქვს განხილული არასრულწლოვანთა შრომითი დასაქმების, მათი შრომის პირობების დაცვისა და სამუშაოდან განთავისუფლების საკითხები. სრულყოფილად არ არის გამოყენებული პოტენციური შესაძლებლობანი მოზარდთა სამართალდარღვევების თავიდან ასაცილებლად, რის გამოც 1989 წელს ჩადენილი იქნა ერთი დანაშაული. მაშინ, როცა 1988 წელს არ გვქონდა არცერთი დანაშაული. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა სამართლებრივ აღზრდას. მოზარდები არასაკმარისად არიან ჩაბმული სამართალდაცვით საქმიანობაში. რიგ სასოფლო საბჭოებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ მოსწავლეთა ქცევის წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს. საჭიროა სასოფლო საბჭოებმა, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებმა მეტად გააქტიურონ პროფილაქტიკური მუშაობა არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის, რათა აღვზარდოთ ახალგაზრდობა მაღალი ზნეობრივი სულისკვეთებით.

ახალგაზრდობასთან და განსაკუთრებით არასრულწლოვნებთან მუშაობა გაართულა რესპუბლიკაში შექმნილმა რთულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ. ძალზე მცირე დროში შეიცვალა მოქმედი საზოგადოებრივი კანონების შეფასების კრიტერიუმები. ყოველივე ამის ფონზე მოძველებულად გვეჩვენება კომისიის სამუშაო დებულება და საქმიანობის ფორმები, რაც აუცილებლად დახვეწას და დამუშავებას მოითხოვს. თუ ეს საკითხები დროულად იქნება გადაწყვეტილი, რა თქმა უნდა, შევძლებთ უკეთესი საბოლოო შედეგების მიღწევას.

**ნ. შენგელია,**

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის არასრულწლოვანთა კომისიის მდივანი.



რაისაავადმყოფოს კლინიკურ-დიაგნოსტიკურ ლაბორატორიაში დღემუდამ ხალხმრავლობაა. აქაურ მედიკოს - სპეციალისტთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ავადმყოფთა ანალიზები მთელი გულისხმიერებითა და სიზუსტით, უმოკლეს დროში კეთდება, ხელს უწყობს სწორ დიაგნოსტიკას და შემდგომ სწორი მკურნალობის წარმართვას.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): ბიოქიმიურ ანალიზებს იკვლევს ჟუჟუნა კოპალიანი, რომელიც 40 წელია ამ საქმეს ემსახურება და კლინიკური ლაბორანტი იზო მეგრელი.

ზ. გზობავას ფოტო.

# განვიხილავთ საქართველოს სასკოლო განათლების კონცეფციის პროექტს

გავეცანი საქართველოს სასკოლო განათლების კონცეფციის პროექტს. მასში მოცემულია სავარაუდო მონახაზი მომავლის სკოლის შესახებ. უპირველესი ამოცანა ის არის, რომ თანამედროვე სკოლა უნდა განთავისუფლდეს იმ ნაკლოვანი მხარეებისაგან, რაც მას ამჟამად გააჩნია.

მე მიმაჩნია, რომ დაწყებითი სკოლა (I-II-III-IV კლასები)

## ასე უმჯობესია

უნდა გამოეყოს მის მომდევნო არასრულ და სრულ საშუალო სკოლას. გარდა ამისა, არ მიმაჩნია სწორად ერთსა და იმავე სასკოლო შენობაში სწავლობდეს 7 წლის ბავშვი, ჯერ კიდევ ფიზიკურად მოუმწიფებელი და 17-18 წლის ჯანღონით სავსე ჭაბუკები და ქალიშვილები.

დაწყებით სკოლაში უნდა აღიკვეთოს რუსული ენის სწავლება და მის ხარჯზე გაიზარდოს დედაენის გაკვეთილები. ამასთან მეტი ყურადღება დაეთმოს პატარა გოგონებისათვის საოჯახო საქმისა და ხელგარჯილობის სწავლებას. ასევე ვაჟებისათვის შრომის წესების შეჩვევას.

საშუალო სკოლა უნდა იქნას წარმოდგენილი, ჩემის აზრით, ორ საფეხურად: I საფეხურის საშუალო სკოლა (V-VI-VII-VIII კლასები), სადაც სწავლების ვადა იქნება 4 წელი და II საფეხურის საშუალო სკოლა (IX-X-XI კლასები),, სადაც სწავლების ვადა იქნება 3 წელი.

აღნიშნული I საფეხურის საშუალო სკოლაში რუსული ენა უნდა შეისწავლებოდეს ნებაყოფლობით, ანუ ფაკულტატური წესით, ასევე უნდა შეისწავლებოდეს გერმანული, ინგლისური, ფრანგული და სხვა უცხო ენები, რომლებიც რეკომენდებული იქნებიან სათანადო წესით.

I საფეხურის საშუალო სკოლაში უნდა გაიხსნას განყოფილება, სადაც ცალკე ისწავლიან ის ბავშვები, რომლებიც ამჟღავნებენ ამა თუ იმ საგნისა და საგანთა ჯგუფის მიმართ უმაღლეს ნიჭიერებას და თან ამავე დროს ძალდატანების გარეშე ასწრებენ ყველა დანარჩენ [illegible]შნული ბავშვები I საფეხურის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ განაგრძობენ სწავლას II საფეხურის საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრებისთანავე ისინი შევლენ შესაბამის უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდებისა და კონკურსის გარეშე.

განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისათვის უნდა გაიხსნას ლიცეუმი (პროფილის საშუალო სკოლა) უმაღლეს სასწავლებლებთან, რომელიც იქნება II საფეხურის საშუალო სკოლის ტოლფარდი (სწავლების ვადა 3 წელი). ამის მსგავსად შეიძლება გაიხსნას ტექნიკური ლიცეუმები უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებთან (სწაელების ვადა 3 წელი) იმ ბავშვებისათვის, ვინც ტექნიკურ კონსტრუირებაში გამოიჩენენ მაღალ ნიჭიერებას.

I საფეხურის სკოლაში უნდა შეიქმნას ცალკე განყოფილება, სადაც ისწავლიან ის ბავშვები, რომლებსაც გააჩნიათ გონებრივი მუშაობისადმი ნაკლები ნიჭიერება, მაგრამ აქვთ მიდრეკილება პრაქტიკული მუშაობისადმი. I საფეხურის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მათ შეუძლიათ სწავლა განაგრძონ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში თავისი არჩეული პროფესიის მიხედვით. აქვე დავძენ, რომ II საფეხურის საშუალო სკოლები, ლიცეუმები და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები იქნება ერთი და იგივე რანგის საშუალო სკოლები.

რაც შეეხება ოქროსა და ვერცხლის მედლებს, იგი საერთოდ უნდა გაუქმდეს, რადგანაც წლების განმავლობაში თავი იჩინა ნეგატიურმა მოვლენებმა მედლების მინიჭების საქმეში, რამაც ოქროსა და ვერცხლის მედლების გაუფასურება გამოიწვია.

გარდა ამისა, როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, მხოლოდ დაწყებითი განათლება უნდა იყოს ყველასათვის სავალდებულო, როგორც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში არის მიღებული, ხოლო დანარჩენი ორივე საფეხურის საშუალო სკოლაში ნებაყოფლობით, სათანადო სწავლის ქირის გადახდით, რაც დამოკიდებული იქნება მშობლების (ორივეს ან ერთ-ერთის) ხელფასის ოდენობაზე.

უმჯობესია ყველა ტიპის საშუალო სკოლის მოსწავლე ატარებდეს სათანადო ფორმის ტანსაცმელს. მიზანშეწონილია ფორმის ტანსაცმელს ატარებდნენ პედაგოგებიც.

როგორც უკანასკნელი პერიოდის პრაქტიკამ გვიჩვენა, უმჯობესია სკოლის ხელმძღვანელობა ინიშნებოდეს ცენტრალიზებული წესით ზემდგომი ორგანოს მიერ, ხოლო ამჟამად მიღებული არჩევნები ხელმძღვანელებისა არ არის სწორი, რადგანაც იგი მეტ წილ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებს.

**ნ. ბახსოლიანი,**

ორბელის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი.

# აქებენ ჯარისკაცს

### შვილი ჯარში მსახურობს

ბიჭი შრომისმოყვარე ოჯახში იზრდებოდა. დედმამისაგან ზნეობის გაკვეთილებს დღენიადაგ ისრუტავდა. გაირბინა ბავშვობის წლებმა, სკოლა დაასრულა...

ახლა მშობლებს შორს ეგულებათ შვილი, გულისფანცქალით მოელიან მისგან ბარათებს.

და მოდის...

ჩხუტელელი ჟორა და რუსუდან ახვლედიანების ოჯახში ხშირად მოდის ჯარისკაცის წერილები. მათი შვილი მირიანი 1988 წლის ნოემბერში, ცაგერის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, გაიწვიეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში. ამ პერიოდში მირიანმა შეძლო პატივისცემა დაემსახურებინა ამხანაგებსა და მეთაურებს შორის.

ამას წინათ განსაკუთრებით გაიხარეს ჟორა ახვლედიანის ოჯახში. მათ ნაწილიდან მიიღეს მირიანის ქების სიგელი, რომელსაც ხელს აწერს სამხედრო ნაწილის მეთაური. ქების სიგელში ვკითხულობთ: დაჯილდოებულია სამხედრო მშენებელი სერჟანტი მირიან ჟორას ძე ახვლედიანი, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი, სოციალისტური ვალდებულების აქტიური შემსრულებელი, მტკიცე საბრძოლო დისციპლინის გამტარებელი.

სასიხარულო მართლაც არის შვილისადმი საქებარი სიტყვები.

მირიანი ბოლომდე ვაჟკაცურად მოიხდის სამხედრო ვალს და ყოველთვის იქნება ერისა და მამულის კარგი შვილი.

**გ. ჩარკვიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტი

### ასპარეზობა შაშში

სპარტაკიადის პროგრამით ჩატარდა არასრული საშუალო სკოლების პირადგუნდური პირველობა შაშში.

გოგონათა შორის პირველი ადგილი დაიკავა ელისო სილაგაძემ, მეორე—ნინო ფრუიძემ, ხოლო ერთნაირი ქულები მოაგროვეს და მესამე-მეოთხე ადგილები გაინაწილეს იზა შკუბულიანმა და რატი მეიფარიანმა (მახაშის, ნასპერის, დეხვირისა და ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლები).

ჭაბუკებს შორის ყველა შეხვედრა წაუგებლად ჩაატარა და პირველი ადგილი დაიკავა კახა შკუბულიანმა. ერთი წაგებით მეორე ადგილზეა შალვა ირემაძე, ხოლო მესამეზე—თამაზ კენჭაძე (ქვედა ცაგერის, ნასპერისა და საირმის არასრული საშუალო სკოლები).

შეჯიბრებაზე გამოვლინდა გუნდური ადგილები. პირველ ადგილზეა ნასპერის, მეორეზე—ქვედა ცაგერის და მესამეზე—დეხვირის არასრული საშუალო სკოლები.

შეჯიბრებაზე გამარჯვებული ინდივიდები და გუნდები დაჯილდოვდნენ სიგელებითა და შესაფერისი ხარისხის დიპლომებით.

ჯ. შკუბულიანი.

## ჩვენს რესპუბლიკაში

### „ჰიმენეს“ კავშირები უფრო განმტკიცდება

ძველბერძენთა ქორწინების ღმერთი ჰიმენე გახდა სიმბოლო თბილისში ჭავჭავაძის პროსპექტის №62-ში შექმნილი კონსულტაციისა—„ქორწინება და ოჯახი“. იგი ასეთი ტიპის პირველი სამედიცინო დაწესებულებაა ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

—ვბედავთ ჩავერიოთ ორი ადამიანის—ქალისა და კაცის—წმინდათაწმინდა ურთიერთობაში,—ამბობს კონსულტაციის გამგე ანზორ ჭიჭინაძე.—და ამას ჩვენ, რასაკვირველია, ვაკეთებთ მათი პირადი სურვილით იმისათვის, რათა დავეხმაროთ ადამიანებს ინტიმურ სფეროში ჰარმონიას მიაღწიონ.

კონსულტაცია გასწევს სპეციალიზებულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დახმარებას სხვადასხვა სექსუალურ დარღვევათა მქონე ერთ-ერთი მეუღლის უნაყოფობის შემთხვევაში. აქაური ფსიქოლოგები კი მზად არიან კონსულტაცია გაუწიონ წყვილებს ქორწინების წინ, დაეხმარონ კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლაში იმათ, ვინც გაყრის მიჯნაზეა, მიაწოდოს ოჯახურ დამოკიდებულებათა დისჰარმონიის აღმოფხვრის საშუალებები.

გარდა ამისა, კონსულტაცია „ქორწინება და ოჯახის“ ერთ-ერთი მიზანია ჯანსაღი სქესობრივი ურთიერთობის პროპაგანდა, უახლოეს მომავალში კი აქ მიიღებენ ყველა იმათ, ვინც დაინტერესებულია ოჯახის დაგეგმვის, თავისთავის კონტრაცეფციის სხვადასხვა საშუალებათა შერჩევის საკითხებით...

(საქინფორმი)

### მოიჯარე მრიცხველს იყენებს

პირველად ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ზესტაფონის რაიონის სოფელ კლდეეთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ თავიდან აიცილა საჯარიმო სანქციები ელექტროენერგიის გადახარჯვის გამო.

—ელექტროენერგიის გაუმართლებელ გულუხვ ხარჯვას ბოლო მოუღო იჯარამ,—განმარტა ეს ფაქტი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თემურ ჩინჩალაძემ,—ადგილობრივი ფერმის მუშაკებმა, რომლებმაც იჯარული პრინციპით დაიწყეს მუშაობა, ელექტრომრიცხველები დააყენეს. ხოლო იმ შემთხვევისათვის, თუ ელექტრობა გამოირთვება, მოიჯარეებმა დიზელ-გენერატორი შეიძინეს. ერთი სიტყვით, მეურნეობრიობისადმი მზრუნველმა მიდგომამ განაპირობა მიზანი—საბოლოო შედეგი.

(საქინფორმი).

## გამოიწერეთ ახალი გაზეთები

ჩვენ უკვე შევეჩვიეთ ახალი გაზეთების გამოჩენას. პრესა სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება. ათეული წლების განმავლობაში დამალული სიმართლე გაზეთის ფურცლებს გამოაქვს სააშკარაოზე. გაზეთი თანდათან იბრუნებს დაკარგულ ფუნქციებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებისას და იძენს იმ მნიშვნელობას, რაც ცხოვრებამ დააკისრა თავიდანვე. კომერციული ფირმებისა და ჩვენთვის უჩვეულო სხვა მსგავსი დაწესებულებების გაჩენის კვალობაზე გაჩნდა სარეკლამო გაზეთებიც, რომელთა საშუალებით ვრცელდება რეკლამა-ინფორმაცია.

1 მარტიდან ხელმოსაწერად და საცალო ვაჭრობით გასავრცელებლად მიღებულია საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირისა და კომერციული ფირმა „ვესტას“ ერთობლივი გაზეთი „ნატვრისთვალი“. ერთი ეგზემპლარის ფასია 50 კაპიკი. გაზეთზე ხელმოწერის ფასი ერთი წლით არის 6 მანეთი, 6 თვით—3 მანეთი, 3 თვით—მანეთი და 50 კაპიკი, 1 თვით—50 კაპიკი.

1 მარტიდანაა აგრეთვე მიღებული ხელმოწერითა და საცალო ვაჭრობით გასავრცელებლად წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატორთა რესპუბლიკური კავშირის გაზეთი „კოოპერატორის მაცნე“. ერთი ეგზემპლარის ღირებულება 20 კაპიკია.

გაზეთ „კოოპერატორის მაცნეზე“ ხელმოწერის ფასი ერთი წლით 9 მანეთი და 60 კაპიკია, 6 თვით—4 მანეთი და 80 კაპიკი, 3 თვით—2 მანეთი და 40 კაპიკი.

ხელმომწერები ზემოთაღნიშნულ გაზეთებს მიიღებენ 1 აპრილიდან.

ეს გაზეთები თქვენ დაგეხმარებათ თანამედროვე გართულებულ ეკონომიკურ სიტუაციაში ორიენტაციის აღებაშიც.

გამოიწერეთ ახალი გაზეთები!

კ. ლეთოდიანი,

„სოიუზპეჩატის“ რაიონული განყოფილების უფროსი.



ნორვეგია. ოსლოს მახლობლად, სპეციალიზებულ ფერმაში ერთ დედა-ღორს ერთდროულად ეყოლა 23 გოჭი. ასეთმა იშვიათმა შემთხვევამ ნორვეგიელ მეცნიერთა გაკვირვება გამოიწვია. ეს რეკორდია არა მარტო ნორვეგიისათვის, არამედ ევროპის სხვა ქვეყნებისათვის.

სურათზე: ნორვეგიელ ფერმერთა სიამაყე.

## გილოცავთ

**ნატო გრიშას ასულ მეშველიანს**

**ლევან ჯიუს ძე ბურჯალიანს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. კიდევ მრავალი და-ძმა შემატებოდეს.

**ორბელის საშუალო სკოლის X-ბ კლასის მოსწავლეები.**

### პენსიონერთა საყურადღებოდ!

პენსიონერებს, რომელთა ოჯახის თითოეულ წევრს თვეში 60 მანეთზე ნაკლები შემოსავალი აქვთ, ვთხოვთ გამოცხადდნენ სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში.

**სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება.**

მეუღლე გალაქტიონი, შვილები ტუხა, ნანული, მაგული, ძმები ვალოსი, გელა ახვლედიანები, რძლები მზია, ლენა, ლოლა, ნინელი, ზაირა, სიძეები რეზო მურცხვალაძე, გურამ თოდუა, შვილიშვილები მირიანი, მელანო, გიორგი, რუსუდანი, ნინო, მული ლიდა მანდარია, სიძე შალვა პელიძე, მულისშვილები, დისშვილები, ძმისშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რუსუდან (რუსიკო) პარიმონის ასული ახვლედიანი-მანდარია.**

დაკრძალვა 25 თებერვალს, კვირას, ქ. ცაგერში. გამოსვენება 17 საათზე.

უახლოესი მეზობლები ზაურ ბენიძე, ზაირა შკუბულიანი, რომან ახვლედიანი, შოთა სანთელაძე, კოლია ჩაკვეტაძე თანაუგრძნობენ თინა ახვლედიანს ძმის

**ამირან ფოჩხიძის**

გარდაცვალების გამო.

რუბენ დავითულიანი, თამაზ გიორგობიანი, ჯამბულ ყურაშვილი, მარლენ ლიპარტელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თებრო სპირიდონის ასული სალინაძე-რუხაძე.**

ქალაქის ბიბლიოთეკების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნელი ქურასბედიანს და შალვა ფოჩხიძეს მაზლისა და ძმის

**ამირან ფოჩხიძის**

გარდაცვალების გამო.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ამირან სამსონის ძე ფოჩხიძე.**

ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ რუბენ დავითულიანს დეიდის

**თებრო სალინაძის**

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

თენგიზ ხვადაგიანი, ასკალო მურცხვალაძე, ქინვერ კვირკაშვილი ცავრინა ქარსელაძე თანაუგრძნობენ თინა ფოჩხიძეს ძმის

**ამირან ფოჩხიძის**

გარდაცვალების გამო.

ლაჯანის სკოლა-ინტერნატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ შარდენ ლაკვეხელიანს მეუღლის

**დარიკო გრიგოლის ასულ ლაკვეხელიანის**

გარდაცვალების გამო.

ლია, რომან, რეზო მანდარიები, ნაზიკო, მურთაზ ჩაკვეტაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **რუსუდან ახვლედიანი-მანდარია** და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-81, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3., განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,
გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 1 ინდექსი 66539, ტირაჟი 4461

საქართველოს სსრ ბეჭვდითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.